

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

„ _____ “ _____ 20 ____ წ.

წინამდებარე ხელშეკრულება იდება, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს (შემდგომში „EEU“), წარმოდგენილი მისი რექტორის დავით ჩერქეზიშვილის სახით და, მეორე მხრივ, ამავე უნივერსიტეტის ფაკულტეტის, პროგრამის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტს

სახელი _____

გვარი _____

პირადი № _____

შორის, რომლის სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს ----- %.

1. ხელშეკრულების საბანო

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „ EEU“ იღებს ვალდებულებას, შეუქმნას „ბაკალავრს“/“მაგისტრანტს/დოქტორანტს” სათანადო პირობები საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე სწავლისათვის და გაუწიოს მას სასწავლო მომსახურება, მას შემდეგ, რაც „ბაკალავრი“/“მაგისტრანტი/დოქტორანტი” გადაიხდის „ EEU“-ში სწავლის სემესტრულ საფასურს, წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 1.2 შესაბამისად.

1.2. სწავლების წლიური გადასახადი შეადგენს (.....) ლარს. „ბაკალავრი“/“მაგისტრანტი/დოქტორანტი” ვალდებულია, სწავლის საფასური გადაიხადოს სემესტრულად (.....) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

1.3. „ბაკალავრი“/„მაგისტრანტი/დოქტორანტი“ სახელმწიფო სასწავლო გრანტის ფლობის შემთხვევაში სწავლის საფასურს იხდის სასწავლო გრანტის ოდენობისა და სწავლის საფასურს შორის სხვაობის გათვალისწინებით.

14. „საბაკალავრო“/„სამაგისტრო/სადოქტორო“ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება მიმდინარე წელს დადგენილი ტარიფით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „ბაკალავრი“/„მაგისტრანტი/დოქტორანტი“ ვალდებულია, დაიცვას და მკაცრად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული მოთხოვნები, ვალდებულებები და პირობები, „EEU“-ს ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის იმ ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტები წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ბაკალავრის/მაგისტრანტის/დოქტორანტის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ EEU“ იტოვებს უფლებას, მიიღოს არსებული კანონმდებლობითა და „EEU“ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ზომები.

2.2 „ბაკალავრს“/„მაგისტრანტს/დოქტორანტს“ არა აქვს უფლება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადასცეს სხვა პირებს.

2.3 „ბაკალავრი“/„მაგისტრანტი/დოქტორანტი“ მოვალეა, უზრუნველყოს „EEU“-ს კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება „EEU“-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის გამო „ბაკალავრს“/„მაგისტრანტს/დოქტორანტს“ დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4. „ბაკალავრი“/„მაგისტრანტი/დოქტორანტი“ ვალდებულია, აცნობოს „EEU“-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს პირად ბარათში მოცემული მისამართისა და სხვა ნებისმიერი პირადი ინფორმაციის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში „EEU“ იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარი უარყოფითი შედეგებისაგან.

2.5. „EEU“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს „ბაკალავრი“/“მაგისტრანტი/დოქტორანტი” სწავლების სათანადო პირობებით, სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და სანიტარული ნორმების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო სასწავლო პროგრამისათვის გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე.

3.2. თუ სტუდენტი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ არ მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესში, იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

3.3. „ბაკალავრის“/“მაგისტრანტის/დოქტორანტის“ ინიციატივით აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ის მოვალეა 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის თაობაზე „EEU“-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში „ბაკალავრის“/“მაგისტრანტის/დოქტორანტის“ არ დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

3.4. „EEU“-ს ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ „ბაკალავრი“/“მაგისტრანტი/დოქტორანტი“ უხეშად დაარღვევს აღნიშნულ ხელშეკრულებას და „EEU“-ს ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

3.5. „EEU“-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში „ბაკალავრის“/“მაგისტრანტის/დოქტორანტის“ არ დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

4. ღვაწატი ბადაწყვეტის წისი

4.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

4.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის მიერ.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU)

სახელით რექტორი

(ხელმოწერა)

სტუდენტი

(ხელმოწერა)